სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

26932640955917

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170970889

რეგისტრაციის თარიღი

24.08.2017 წ

ნოტარიუსი: რუსუდან მინდიკაური
მისამართი: ქ.თბილისი, კალოუბნის ქ. #6, I სართული
ტელეფონი: 276 21 81

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის ოცდაოთხ აგვისტოს მე, საქართველოს ნოტარიუსს რუსუდან მინდიკაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, კალოუბნის ქ. №6, პირველი სართული, მომმართა ქ-ნმა **ეკატერინე პაპაშვილმა**, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ქ-ნმა **ეკატერინე პაპაშვილმა** (დაბად. 24.02.1975წ., მისამართი: დედოფლისწყარო, დ.გურამიშვილის ქ. №3, პასპორტის **№16AA91994**, პირადი №14001004826, გაც. 16.02.2017წ იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე, აგრეთვე, შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე ქ-ნ **ეკატერინე პაპაშვილს**, მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ჩვიდმეტი წლის ოცდაოთხ აგვისტოს მე, **ეკატერინე პაპაშვილმა** (დაბად. 24.02.1975წ., მისამართი: დედოფლისწყარო, დ.გურამიშვილის ქ. №3, პასპორტის №16AA91994, პირადი №14001004826, გაც. 16.02.2017წ იუსტიციის სამინისტროს მიერ) ქ-ნ **თამილა კოჭლამაზაშვილს** (დაბად. 12.02.1949წ., მისამართი: დედოფლისწყარო, დ.გურამიშვილის ქ. №3, პირადი №14001004827)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. ქ-ნი **თამილა კოჭლამაზაშვილი** უფლებამოსილია, რომ მან ჩემი სახელით **სს „საქართველოს ბანკში“, სს „თიბისი ბანკში“, მათ ფილიალებსა და სერვის ცენტრებში შეუზღუდავად მართოს და განკარგოს ჩემი ნებისმიერი სახის ანგარიში/ანაბარი, მათ შორის ჩემი შემნახველი ანაბარი (შეიტანოს, გამოიტანოს, გადარიცხოს ფულადი სახსრები, მოახდინოს კონვერტაცია), გახსნას ან დახუროს/დაარღვიოს ნებისმიერი სახის ანგარიში/ანაბარი (მათ შორის ვადაზე ადრე), მიიღოს ჩემს ნებისმიერ ანგარიშზე/ანაბარზე, მათ შორის ჩემს შემნახველ ანაბარზე რიცხული ფულადი სახსრები და სარგებელი ნებისმიერ ვალუტაში, გააგრძელოს/გადაავადოს ანაბრის მოქმედების ვადა ნებისმიერი ვადით,** ჩართოს, ისარგებლოს, გამორთოს დისტანციური სერვისები, მიიღოს ნებისმიერი პაროლი/კოდი, მოახდინოს ჩემი ნებისმიერი მონაცემის ცვლილება, აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩემი სახელით აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები, მიიღოს (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით) ამ ანგარიშებთან და ანგარიშებზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ამონაწერი ანგარიშიდან, ინფორმაცია ანგარიშზე ფულადი სახსრების მოძრაობის და ნაშთების შესახებ, ცნობა დავალიანების შესახებ და სხვა), ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ჩემი სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას/დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

2. ქ-ნი **თამილა კოჭლამაზაშვილი**, აგრეთვე, უფლებამოსილია, რომ მან ჩემი სახელით გააუქმოს ჩემსა და სს „საქართველოს ბანკს“ (ს/ნ 204378869) შორის 2017 წლის 16 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული №6207208-01 იპოთეკის ხელშეკრულება და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, შეასრულოს აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ით ჩემს მიერ ნაკისრი ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობებით ან წინსწრებით და ხელი მოაწეროს ნებისმიერი ხელშეკრულების გაუქმებას და გაუქმებული ხელშეკრულება, ცნობები, წერილები წარადგინოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში იპოთეკის რეგისტრაციის შესაწყვეტად.

3. ქ-ნი **თამილა კოჭლამაზაშვილი**, ასევე, უფლებამოსილია მართოს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, **საცხოვრებელი ბინა, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, გამზირი ი.ჭავჭავაძე, №49ბ, სართული 2, ბინა №4ბ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.07.008.017.02.004ბ),** აგრეთვე, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გააფორმოს იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულება, **საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ნებისმიერი სახის**

ცვლილება იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულებაში (ვადის გაგრძელება/შემცირება, თანხის გაზრდა/შემცირება და სხვა) და გააუქმოს იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულება, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ქირის/იჯარის თანხის ოდენობა, ვადა და სხვა ნებისმიერი პირობა, მოახდინოს იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაცია/რეგისტრაციის შეწყვეტა საჯარო რეესტრში, ასევე, მიიღოს იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ნაღდი ანგარიშსწორებით ან ჩაირიცხოს ჩემი წარმომადგენლის მიერ მითითებულ ნებისმიერ ანგარიშზე საქართველოში არსებულ ნებისმიერ ბანკში, ასევე, აღნიშნულ უძრავ ქონებაში შეიყვანოს ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი, დააყენოს მრიცხველები და დამარეგისტრიროს აბონენტად, ასევე, შეიყვანოს/გააუქმოს ინტერნეტი, დადგას/გააუქმოს ტელეფონი.

4. ქ-ნი **თამილა კოჭლამაზაშვილი**, ასევე, უფლებამოსილია, რომ მან ჩემი სახელით სსიპ შემოსავლების სამსახურში და/ან სამეწარმეო რეესტრში შეიტანოს განცხადება და დამარეგისტრიროს გადამხდელად, აგრეთვე, მოახდინოს ელექტრონულ დეკლარირებასთან დაკავშირებული აღრიცხვიანობის რეგისტრაცია, მოახდინოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, ჩააბაროს დეკლარაციები, აიღოს შედარების აქტები და აწარმოოს შესაბამისო საქმიანობა.

5. ქ-ნი **თამილა კოჭლამაზაშვილი**, ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, სს „საქართველოს ბანკში“, სს „თიბისი ბანკში“, სსიპ შემოსავლების სამსახურში, ნებისმიერი კომუნალური მომსახურების კომპანიაში, მათ შორის სს „თელასში”, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, შპს „თბილსერვის ჯგუფში“, ნებისმიერ ინტერნეტ და კავშირგაბმულობის კომპანიაში და ნებისმიერ სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და კერძო დაწესებულებაში/სამსახურში, ჩემი სახელით შეიტანოს/წარადგინოს განცხადებები, ცნობები, დოკუმენტები, ნებისმიერი სამსახურიდან/დაწესებულებიდან მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი, გადაიხადოს კანონით განსაზღვრული გადასახადი, ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას/დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მარწმუნებლის მიერ მის გაუქმებამდე.

მინდობილობა გაცემულია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის რ.მინდიკაურის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭირო იქნება გაცემული მინდობილობის ყველა ეგზემპლარის წარდგენა სანოტარო ბიუროში.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ, №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ”, 31-ე მუხლის შესაბამისად 10.00 (ათი) ლარიდა 39-ე მუხლის საფუძველზე - სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა: ...

ნოტარიუსი: / რუსუდან მინდიკაური /

საქართველო. ნოტარიუსი რუსუდან მინდიკაური. GEORGIA. N. TARYRUSUDAN MINDIKAURI. ნოტარიუსი რუსუდან მინდიკაური 01027027678

შეკერილია და დანომრილია

„___" ფურცლად

ნოტარიუსი:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.07.008.017.02.004ბ

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882017769324 - 23/08/2017 12:16:49

მომზადების თარიღი
23/08/2017 18:30:01

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	ვაკე			
01	14	07	008/017	02/004ბ

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 49ბ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:3763.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 8;
შენობა-ნაგებობები: შენობა N1
საერთო ფართობი 26651.0 კვ.მ. მათ შორის:
საცხოვრებელი ფართობი 12346.3 კვ.მ.
კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 1925.5 კვ.მ.
საოფისე ფართობი 1669.1 კვ.მ.
საბაფხულო ფართობი 2574.9 კვ.მ.
სასაწყობე ფართობი 61.5 კვ.მ.
სპორტული მოედნის ფართობი 2874.2 კვ.მ.
დამხმარე ფართობი 1934.2 კვ.მ.
კომერციული ფართობი 299.7 კვ.მ.
ავტოსადგომის ფართობი 2965.6 კვ.მ.

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882017769324** , თარიღი **23/08/2017 12:16:49**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **23/08/2017**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:23/08/2017 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ეკატერინე პაპაშვილი ,P/N: 14001004826

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
ეკატერინე პაპაშვილი	საკუთრება	საცხოვრებელი ფართი სართული2,ბინა N4ბ	50.89 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა: